ISSN 1512-2018

უაკ: 783

გასული საუკუნის ნევმურ სისტემაში გამოყენებული ზოგიერთი სამუსიკო ნიშნის შესახებ

(შემოქმედის სამონასტრო სკოლის ნოტოგრაფიული ტრადიციის მაგალითზე)

მაგდა სუხიაშვილი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახ. კონსერვატორია
0108, თბილისი, გრიბოედოვის ქ. #8-10

ანოტაცია:
გასული საუკუნის პირველ ათწლეულებით დათარიღებულ ნევმირებულ ხელნაწერთა მნიშვნელოვანი ნაწილი შემოქმედის სამგალობლო სკოლის სახელგანთქმული წარმომადგენლის, არტემ ერქომაიშვილის (1887-1967), ხელიდანაა გამოსული. არტემ ერქომაიშვილის მიერ რეგულარულად გამოყენებულ სამუსიკო სიმბოლოთა შორისაა სოლისებური ნიშანი (ანუ დახრილი ხაზი) და წერტილისებური ნიშანი. წარმოებული კვლევის შედეგად ირკვევა, რომ სოლისებური ნიშანი ხშირ შემთხვევაში დიდი გრძლიობის ბგერას აღნიშნავს. წერტილისებური ნიშანი და წერტილთა კომბინაცია კი სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება – შესაძლოა იყოს მელოდიური ნახაზის მიმართულების, გასამღერი ბგერების რაოდენობისა ან გრძლიობის მაჩვენებელი (იშვიათად). დიდი მგალობლის ხელნაწერებში შედარებით იშვიათადაა დადასტურებული ტალღოვანი, ანუ კლაკნილი ხაზის მაგვარი (ან მრავალკბილიანი) ნიშანი, რომელიც, სავარაუდოდ, ერთ სუნთქვაზე (დანაწევრების გარეშე) სათქმელი რამდენიმე ბგერიანი მოტივის აღსანიშნავადაა ნახმარი.

საკვანძო სიტყვები:*საგალობელი, ნევმირებული ხელნაწერი, სამუსიკო ნიშნები.*

გასული საუკუნის პირველი ათწლეულებით დათარიღებულ ნევმირებულ ხელნაწერთა მნიშვნელოვანი ნაწილი სახელგანთქმული მგალობლის, არტემ ერქომაიშვილის, ხელიდანაა გამოსული. ბატონმა არტემმა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი დაწინაურებული სამგალობლო კერის – შემოქმედის მონასტრის მდიდარი სამგალობლო ტრადიციები იმემკვიდრა. ცნობილია, რომ შემოქმედის მონასტერს მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი ჰქონდა დასავლეთ საქართველოს სხვა მოწინავე სამგალობლო კერებთან. ამდენად, აქ შექმნილი ხელნაწერების, მათ შორის, არტემ ერქომაიშვილისეული ჩანაწერების, სიღრმისეული კვლევა უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ სამუსიკო დამწერლობის ლოკალურ თავისებურებათა შესასწავლად, არამედ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ახალი ნევმური ნოტაციის კანონზომიერებათა დასადგენად.

ცნობილია, რომ არტემ ერქომაიშვილმა (1887-1967) ნევმური სისტემა შემოქმედის მონასტრის სამგალობლო სკოლის სახელგანთქმული მგალობლისგან, მელქისედეკ ნაკაშიძისგან (1852-1908), შეისწავლა და ეს ცოდნა თავის უმცროს ძმებს, ანანიას (ნანიოს)

ISSN 1512-2018

(1891-1977) და ვლადიმერს (ლადიკოს (1894-1982)), გაუზიარა[1]. ჩვენამდე მოღწეულია ანანია და ვლადიმერ ერქომაიშვილების მიერ ნევმირებულ საგალობელთა ერთეული ნიმუშები (ბატონი ვლადიმერის მიერ ნიშნებითაა შემკული წმინდა ნინოს კონდაკი, ხოლო ანანია ერქომაიშვილს აღუკაზმავს ლაზარეს შაბათის საგალობელი „სიყვარულმა მოგვიყვანა“ [იხ. 3: *65*; 4: *212*)); არტემ ერქომაიშვილის მიერ ნევმირებული ჰიმნები კი მრავლად მოგვეპოვება. მათი დიდი ნაწილი დღეს საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული, ნაწილი კი (24 საგალობელი) გამოქვეყნებულია თინათინ ჟვანიას მონოგრაფიაში „ერქომაიშვილები“[2] [4: 134-142].

ჩვენიყურადღება, პირველ ყოვლისა, მიიქცია ზოგიერთმა გრაფიკულმა სიმბოლომ, სახელდობრ, წერტილისებურმა და სოლისებურმა (დახრილი ხაზისებური) ნიშნებმა, რომლებიც რეგულარულად გამოიყენება არტემ ერქომაიშვილის მიერ (სოლისებური ნიშანი განსაკუთრებით ხშირად იხმარება ხელნაწერში, რომელიც გამოქვეყნებულია თინათინ ჟვანიას ზემოხსენებულ მონოგრაფიაში). სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ნიშნების ახსნა-განმარტება თავდაპირველად კახი როსებაშვილმა სცადა (მის მიერ განმარტებული ერთ-ერთი ნევმირებული საგალობელი წარმოდგენილია მაგალითში1).

მაგ.1 [5: *17*]



მეცნიერის სიტყვებით, „თუ ხმა მიდის ზევით, მაშინ მარცვალს დაესმის წერტილი ზემოდან და პირიქით, თუ ქვევით, მაშინ მარცვალს წერტილი დაესმის ქვემოდან... ვხვდებით ასევე მოკლე ხაზებს, რომლებიც ოდნავ დახრილი, ვერტიკალურად დაესმის მარცვლებს და მის გრძლიობას განსაზღვრავენ... მეოთხედი გრძლიობის ნოტი აღინიშნება წერტილითა და ხაზით (მათი შეერთება კვერთხისებური ნიშნის მსგავს გრაფემას ქმნის – მ. ს.), ხოლო ორი მეოთხედი გრძლიობისა – ერთმანეთისაგან დაშორებული წერტილითა და ხაზით“ [5]. ამდენად, ბატონი კახის განმარტებით,

[1] არტემ ერქომაიშვილის ხელნაწერების აღწერილობის, მათში წარმოდგენილ ნიშანთა ანბანისა და ზოგიერთი ნიშნის (ჯვარისებური, მძიმისებური, ასო ქანისებური და სხვ.) მნიშვნელობის თაობაზე ქართულ და რუსულ ენებზეა გამოქვეყნებული წინამდებარე სტატიის ავტორის მიერ [1; 2].

[2]ხელნაწერი, რომელიც თინათინ ჟვანიას მონოგრაფიაში გამოქვეყნდა, დღეისთვის მიუკვლეველია.

ISSN 1512-2018

დახრილი ხაზი, რომელსაც მანანა ანდრიაძე სოლისებურ ნიშანს უწოდებს, დამოუკიდებელ სიმბოლოს არ წარმოადგენს – ყოველთვის კომბინაციაშია წერტილისებურ ნიშანთან (გვხვდება მასთან შეერთებული სახით ან პირიქით – მისგან დაცილებულია მცირე ინტერვალით) და გამოხატავს ბგერის სხვადასხვა გრძლიობას (მეოთხედი, ორი მეოთხედი). ბატონი კახი ამ დასკვნებამდე მივიდა ორი საგალობლის – „ქრისტე აღდგა“ და „ადიდებს სული ჩემი“ – განხილვის შედეგად. ისინი მეცნიერმა არტემ ერქომაიშვილისგან ჩაიწერა და გამოაქვეყნა კიდეც [5: *16-17*]. ბატონი კახი ამ ფაქტის თაობაზე იხსენებს: „საგალობლების ჩაწერაზე ვმუშაობდი არტემ ერქომაიშვილთან, რომელიც თავისი ნამღერის ფონოჩანაწერის მოსმენის შემდეგ თითოეული ხმის ტექსტთა მარცვლებს საგალობო ნიშნებს უწერდა, ხოლო ჩვენ საგალობლის სანოტო ჩანაწერის ტექსტს მივუწერეთ ერქომაიშვილისავე საგალობო ნიშნები“[3] [5: *4*].

რამდენადმე განსხვავებულია ხსენებული ნიშნების ვლადიმერ ერქომაიშვილისეული განმარტება, რომელიც წარმოდგენილია მომღერალ-მგალობლის ჩანაწერებში და მეცნიერული შესწავლის ობიექტი დღემდე არ გამხდარა [იხ. 4: *212*].

საკუთარ ჩანაწერში ვლადიმერ ერქომაიშვილი მსჯელობს სამ სამუსიკო ნიშანზე (ვერტიკალური დახრილი ხაზი, წერტილისებური ნიშანი და მოკლე ჰორიზონტალური ხაზი), რომლებიც მის მიერვე ნევმირებული ერთი საგალობლის – წმიდა ნინოს კონდაკის – სიტყვიერ ტექსტზეა დასმული. ბატონი ვლადიმერის განმარტებით, „რომელ ასოზედაც გრძელი ხაზია დასმული, იქ ხმა გრძელდება იმ ასოს გამოთქმით. მაგალითად, თუ ო-ზეა დასმული, გრძელდება ოოო და განისაზღვრება ორი [ორჯერ– მ. ს.] ხელის დაქნევით ან სამით, ან ოთხით. რომელ ასოზედაც წერტილებია დასმული, ის თუ ზემოთ არის, რამდენიც წერტილია, იმდენჯერ გამოითქმება ის ასო და რამდენიც წერტილია იმდენჯერ ამაღლდება, თუ ერთ და იმავე ასოზე წერტილი ზემოთ და ქვემოთაც არის დასმული, პირველი თუ ზემოთ არის, მაღალს ნიშნავს და იმავეზე მეორე ქვემოთ, დაბალს. თუ ქვემოთ არის დასმული, რამდენიც წერტილია იმდენს (იმდენი საფეხურით – მ. ს.) დაბლდება. ასეთი პატარა ტირე - ნიშნავს ერთი სიმაღლის ხმას და ა. შ.“ [4: *212*] (იხ. მაგ. 2).

[3] მართალია, ბატონი კახის ჩანაწერი არტემისეული ნევმების მიბაძვითაა შესრულებული, მაგრამ იგი, გარკვეულწილად, სხვაობს დიდი მგალობლის ხელნაწერებში წარმოდგენილი ნევმირების პრინციპისგან – საგალობლის ტესტი სამ ხაზადაა დუბლირებული და ცალკეულ ხმებს (თქმას, მოძახილსა, ბანს) მიწერილი აქვს ნევმები; ამასთან ნიშნები თითოეულ მარცვალზეა დასმული, რაც უჩვეულოა ქართული ნოტოგრაფიული ტრადიციისთვის. სწორედ ამიტომ მანანა ანდრიაძემ როსებაშვილის ჩანაწერის პირველწყაროსთან შესაბამისობა ეჭვქვეშ დააყენა. „გამორიცხული არც ისაა, რომ კ. როსებაშვილმა მოხუცისგან ნაკარნახევი ნიშნები თვითონ მიუწერა საგალობელს და ამ მიზეზით სიზუსტე დაირღვა”,– წერს მეცნიერი [6: *116-117*].

ISSN 1512-2018

მაგ. 2 [4: *212*]



ამდენად, ბატონი ვლადიმერის განმარტებით, სოლისებური ნიშანი (დახრილი ხაზისებური ნიშანი) ეული ნიშნის სახით (ანუ წერტილთან კომბინაციის გარეშე) გამოხატავს შედარებით დიდ გრძლიობას („ორი, სამი ან ოთხი ხელის დაქნევის“ ტოლს) მაშინ, როდესაცკახი როსებაშვილის ინტერპრეტაციით, დახრილი ხაზი ყოველთვის წერტილთან კომბინაციისას გამოხატავს ბგერის ამა თუ იმ გრძლიობას. რაც შეეხება წერტილისებურ ნიშანს, ვლადიმერ ერქომაიშვილისეული განმარტება თანხვდება ხსენებული სიმბოლოს როსებაშვილისეულ ინტერპრეტაციას.

თუკი ბატონი ვლადიმერის განმარტებათა გათვალისწინებით, მის მიერვე ნევმირებულ წმინდა ნინოს კონდაკს შევადარებთ შემოქმედის კილოს ამავე საგალობლის ნოტირებულ ნიმუშს, მათ ურთიერთშესაბამისობაში დავრწმუნდებით [იხ. 4: *212*; 7: *180-182*). საინტერესოა, თანხვდება თუ არა ბატონი ვლადიმერისეული განმარტებები არტემ ერქომაიშვილის მიერ გამოყენებული იმავე სიმბოლოების შინაარსს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად შევადარეთ ერთი და იმავე საგალობლების ნევმირებული და ნოტირებული ნიმუშები (ცნობილია, რომ შემოქმედის სკოლის საგალობლების მნიშვნელოვანი ნაწილი ხაზიანი ნოტაციითაა დაფიქსირებული, ხოლო მათი უმრავლესობა ბატონი არტემის ნაგალობევს ასახავს [იხ. 7; 8]).

ნევმირებული და ნოტირებული საგალობლების შედარების შედეგად გაირკვა, რომ სოლისებური ნიშანი, ანუ დახრილი ხაზი, უმრავლეს შემთხვევაში, მართლაც აღნიშნავს დიდი გრძლიობის ბგერას. სანიმუშოდ მოგვყავს არტემ ერქომაიშვილის მიერ გადმოცემულ საგალობელთა სტრუქტურული ერთეულები, რომელთა სიტყვიერ ტექსტებზე სამუსიკო ნიშნები მის მიერვე ნევმირებული ხელნაწერების მიხედვითაა დასმული (იხ. მაგ. 3ა, 3ბ, 3გ).

მაგ. 3ა [4: *142*; 7: *185*]



მაგ. 3ბ [4: *136;* 8: *37*]



ISSN 1512-2018

მაგ. 3გ.[4: 134; 8: *75*]



აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კახი როსებაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც წერტილისა და ხაზის სხვადასხვა კომბინაცია სხვადასხვა გრძლიობის ბგერას შეესაბამება, კომპარატიული ანალიზით არ დასტურდება – დახრილი ხაზით და წეტილთან შეერთებული ხაზით (იგი კვერთხისებურ ნიშანს გვაგონებს) ზოგჯერ ერთი და იმავე გრძლიობის ბგერა გამოისახება; თანაც ეს უკანასკნელი არტემისეულ ხელნაწერებში საკმაოდ იშვიათად გვხვდება. საგალობელში „სიჭაბუკისა ყვავილი“ (მარცვლებზე „სი-ჭა“) დახრილი ხაზი ეული სახით თუ წერტილთან კომბინაციით ერთი და იმავე გრძლიობის ბგერას გამოხატავს (იხ. მაგ. 4ა); ხოლო სიწმინდის შემოყვანების საგალობელში „რომელი ქერუბიმთა“ (მარცვალზე „მელ“) წერტილთან შეერთებული ხაზი შეესაბამება მთელ ნოტს და არა მეოთხედს[4] (იხ. მაგ. 4ბ).

მაგ. 4ა [4: *136 ;* 8: *75*]



მაგ. 4ბ [4: *141*; 9: *67]*



რაც შეეხება წერტილისებური ნიშნის ვლადიმერ ერქომაიშვილისეულ განმარტებას, იგი რამდენადმე შეესაბამება სიმბოლოს იოანე ბატონიშვილისეულ ინტერპრეტაციას მისივე სახელმძღვანელოდან [იხ. 10]. იოანე ბატონიშვილის მიხედვით, თუკი ბგერა ერთი საფეხურით მაღლა „აღვალს ერთს ხარისხსა (ანუ საფეხურით – მ. ს.) ზედა მომატებით მაღლა, მაშინ მიეცემის ასოსა (იგულისხმება ბგერის აღმნიშვნელი ასო) მას ნიშანი [წერტილი]...“; და პირიქით – თუ ხმა დაბლა ჩამოდის, წერტილი ასოს ქვემოთ განთავსდება (ხეცხ H-2241, ფ. 2 r).

საკვლევი სიმბოლოს შესწავლამ ცხადყო, რომ წერტილისებური ნიშანი, რიგ შემთხვევებში, მართლაც მელოდიური ნახაზის მიმართულების მაჩვენებელია. ერთი და იმავე ნოტირებული და ნევმირებული საგალობლების შედარება კიდევ უფრო აზუსტებს წერტილისებური ნიშნის სამუსიკო შინაარსს: ამ სიმბოლომ შესაძლოა გამოსახოს არა მხოლოდ საფეხურეობრივი მოძრაობა ზემოთ ან ქვემოთ (ანუ ერთი საფეხურით, „ხარისხით“ მაღლა ან დაბლა, როგორც ამას წერს იოანე ბატონიშვილი), არამედ გამოხატოს სვლა ნებისმიერ სხვა ინტერვალზე[5]. სანიმუშოდ მოგვყავს ფრაგმენტები სხვადასხვა საგალობლიდან, საიდანაც ჩანს, რომ მარცვლის ზემოთ ან ქვემოთ დასმული წერტილი აღმავალი ან დაღმავალი საფეხურეობრივი სვლის ან ნახტომის გამომხატველია (იხ. მაგალითები 5ა, 5ბ, 5გ, 5დ).

[4] ფილიმონ ქორიძის მიერ მელქისედეკ ნაკაშიძისგან ჩაწერილი „რომელნი ქერუბიმთა“ გამოქვეყნებულია მალხაზ ერქვანიძის მიერ [9: *67-70*].

[5]სიმბოლოს ინტერვალურ მნიშვნელობასთან დაკავშირებული საკითხი ვლადიმერ ერქომაიშვილსა და კახი როსებაშვილს არ განუხილავთ.

ISSN 1512-2018

მაგ. 5ა [4: *142;* 7:*184*]



მაგ. 5ბ [4: *142;* 7: *185*]



მაგ. 5გ [4: *136*; 7: *189*]



მაგ. 5დ [4: *136*; 8: 37]



ბატონი ვლადიმერის მიერ წერტილისებური ნიშნის ახსნა ნევმური ნოტაციის კიდევ ერთ მახასიათებელს ნათლად წარმოაჩენს – ამა თუ იმ სიმბოლოს შესაძოა ორი ან მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. მომღერალ-მგალობლის განმარტებით, „ასო იმდენჯერ გამოითქმის“, რამდენი წერტილიცაა მის თავზე დასმული. ამ შემთხვევაში წერტილები გამოხატავენ გასამღერი ბგერების ზუსტ ან მიახლოებულ რაოდენობას. ამავე დასკვნამდე მივიდნენ მანანა ანდრიაძე და ბაია ჟუჟუნაზე. პირველმა განიხილა კახი როსებაშვილის მიერ გამოქვეყნებული არტემისეული „ადიდებს სული ჩემი“, ხოლო მეორემ – ანანია ერქომაიშვილის მიერ ჩაწერილი „სიყვარულმა მოგვიყვანა“[6] [6: *117*; 12]. ვინაიდან მკვლევართა დასკვნა ეფუძნებოდა მხოლოდ თითო საგალობლის ანალიზის შედეგებს, მის გასამყარებლად არტემისეულ საგალობელთა უფრო მეტი ნიმუშის განხილვის საჭიროება შეიქმნა.

მაგალითებიდან 3ა, 5ბ მართლაც ჩანს, რომ წერტილებით შესაძლოა აღნიშნულიყო გასამღერი ბგერების რაოდნობა (ზუსტი ან მიახლოებითი). მაგ. 3ა-ში მარცვალს „ფლი“ მოუდის სამწერტილი და სამ ბგერას გამოხატავს; მე-5ბ მაგალითში მარცვალზე „თვის“ დასმულია მრავალწერტილი და ბგერათა მიახლოებულ რაოდენობას შეესაბამება. მსგავი შესაბამისობა სხვა მრავალ ნიმუშში ვლინდება. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუკი დავაკვიდრებით ორწერტილისა და მრავალწერტილის გამოყენების შემთხვევებს სხვადასხვა ნევმირებულ საგალობელში, მათ შორის, უფლის სადიდებელ ჰიმნში „ღმერთი უფალი“ (სიტყვებზე „დღესასწაული“, „განვადიდოთ“),

[6] ნიშნეულია, რომ წერტილთა კომბინაცია იმავე მნიშვნელობით არის გამოყენებული მე-19 ს-ის შემოქმედის ზატიკში (ხეცხ Q 651, მე-19 ს.). მანანა ანდრიაძის თვალსაზრისით, აქ „წერტილებით აღინიშნება ერთ მარცვალზე რამდენიმე ბგერის გამღერება“ [11: *74*].

ISSN 1512-2018

ძლისპირში „კიდობანსა მას სჯულისასა“(სიტყვაზე „სჯულისასა“), წმ. შუშანიკისადმი მიძღვნილ კონდაკში „დღეს მოხარულ არს ერი ქართველთა“ (სიტყვებზე „შენისათვის დედოფალო“) და შევადარებთ მათ ამავე საგალობლების ნოტირებულ ნიმუშებს [4: *138; 140; 142*;7: *134; 115; 183-184*].

წერტილთა კომბინაციამ შესაძლოა ბგერის გრძლიობაც გამოხატოს – გარკვეული რაოდენობის „ხელის დაქნევის“ (ვლადიმერ ერქომაიშვილის დეფინიცია) ტოლი. მაგალითებში 3ა და 3გ მრავალწერტილი, სავარაუდოდ, ბგერის გრძლიობის აღმნიშვნელიცაა. ორივეში იგი განთავსებულია სიტყვის ბოლო მარცვალზე (პირველში სიტყვაზე „სოფლისათვის“, ხოლო მეორეში – სიტყვაზე „სიკეთე“).

და ბოლოს, ყურადღებას შევაჩერებ კიდევ ერთ სიმბოლოზე – ტალღოვან, კლაკნილი ნახაზის მსგავს (ან მრავალკბილიან) ნიშანზე, რომელიც, კახი როსებაშვილის გადმოცემით, თვით არტემ ერქომაიშვილმა განმარტა. „ამას ხმის შეთანხმება ეწოდება და იმდენი ნოტი უნდა იმღეროს მგალობელმა, რამდენი რგოლიც გვხვდება ხმაში“, – აღუნიშნავს მას (5: *4*). გრაფიკულად ეს სიმბოლო გვაგონებს ნიშანს, რომელსაც იოანე ბატონიშვილი „ხმის გაკანკალებას ან კანკლედობას“ უწოდებს (ხეცხ H-2241, 3v), თუმცა მნიშვნელობით ისინი ერთმანეთს არ ემთხვევა. მაგალითებიდან 6ა და 6ბ ჩანს, რომ ტალღოვანი, ანუ კლაკნილი ხაზის მაგვარი ნიშანი ერთ სუნთქვაზე (დაუნაწევრებლად) სათქმელი მოტივის აღსანიშნავად გამოიყენება. მაგალითებიდან ჩანს ისიც, რომ გრაფემის შემადგენელი ნახევარწრეების რაოდენობა ყოველთვის ზედმიწევნით არ ასახავს გასამღერი ბგერების ოდენობას, რაც ზეპირი ტრადიციის ნოტაციის არსებითი თავისებურებაა. აქ ხომ სამუსიკო ქსოვილის ამა თუ იმ პარამეტრის გადმოცემის სიზუსტე მგალობელთა მეხსიერებასაა „მინდობილი“; გრაფიკული სიმბოლოები მხოლოდ ნაწილობრივ ასახავენ სამუსიკო ტექსტს.

მაგ. 6ა [4: 136; 8:*189*]



მაგ. 6ბ [13:*355*;8: *53*]



ერქომაიშვილების ხელნაწერებში დადასტურებული ნევმური დამწერლობის შემდგომი სიღრმისეული კვლევა მნიშვნელოვანია კვლევის შედეგების სასწავლო და სამგალობლო პრაქტიკაში დანერგვისთვის და გალობის ზეპირი ტრადიციის აღდგენისთვის.

აბრევიატურა

ხეცხ –კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

1. სუხიაშვილი მ. შემოქმედის სამონასტრო სკოლის ნევმირებული და ნოტირებული საგალობლების ურთიერთმიმართების საკითხისათვის. წიგნში: საეკლესიო და თეორიული მუსიკოლოგიის აქტუალური საკითხები. მუსიკისმცოდნეობის

ISSN 1512-2018
საკითხები, ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამეცნიერო შრომების კრებული (რედაქტორები: ჩხეიძე თამარი, ნადარეიშვილი მარიკა) თბილისი: თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახ. კონსერვატორია, 2016, გვ. 66-90.

2. Сухиашвили М. К вопросу о соотношении невмированных и нотированных песнопений Шемокмедской монастырской школы (По рукописям песнопений Артема Эркомайшвили и св. Эквтиме Кереселидзе и печатным изданиям нотированных песнопений). В книге: Гимнология, вып. 7. Музыкальная Письменность Христианского Мира: Книги, Нотации, Вопросы Интерпретации (отв. редактор: Ирина Лозовая), Москва: Научно-издательский центр «Московская консерватория», 2017, с. 100-117.
3. შილაკაძე ვ. ქართული ხალხური მუსიკის შემსწავლელთათვის. თბილისი: ხელოვნება, 1949.
4. ჟვანია თ. ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები. ტ. II. გურია. ერქომაიშვილები. თბილისი: საქართველოს მაცნე, 2004.
5. როსებაშვილი კ. (შემდგენელი). ქართული გალობა (გურული კილო). ჩაწერა და ნოტებზე გადაიღო კახი როსებაშვილმა. თბილისი: სსრკ მუსიკალური ფონდის საქართველოს განყოფილება, 1976.
6. ანდრიაძე მ. საგალობელთა ჟანრები და ნევმირების ტრადიცია XIX საუკუნის ქართული ხელნაწერების მიხედვით. დისერტაცია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, 1998.
7. შუღლიაშვილი დ. შემოქმედის სკოლა. არტემ ერქომაიშვილის ჩანაწერების მიხედვით (მეორე გამოცემა). ნოტებზე გადაიღო და შეადგინა დავით შუღლიაშვილმა. თბილისი: იოტა, 2006.
8. ერქომაიშვილი ა. (შემდგენელი). არტემ ერქომაიშვილი. სანოტო კრებული. თბილისი: ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი, 2005.
9. ერქვანიძე მ. (შემდგენელი). ქართული საეკლესიო გალობა. გელათის და შემოქმედის სკოლები. V ტომი. თბილისი: საქართველოს საპატრიარქო, 2008.
10. ნოტისგუარნი ქართულთა გალობისანი, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერი H-2241.
11. ანდრიაძე მ. სამუსიკო ნიშნების სისტემა მე-19 საუკუნის ქართულ სამგალობლო პრაქტიკაში. კრებულში: მუსიკისმცოდნეობის საკითხები, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახ. კონსერვატორიის სამეცნიერო შრომების კრებული, პ/რ. რ. წურწუმია. თბილისი: თბილისის. ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახ. კონსერვატორია, 1999, გვ. 56-90.
12. ჟუჟნაძე ბ. ქართული საგალობლის სამუსიკო ნიშნებით ჩაწერის XX საუკუნის ტრადიცია. გაზეთი: ქართული გალობა, 2007, №10, გვ. 4-5.
13. საგალობლების წიგნი არტემ ერქომაიშვილის არქივიდან, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკისა და რარიტეტულ გამოცემათა ფონდი 10902.

Article received: 2020-02-11